კონკურსანტთა საყურადღებოდ!

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად დახურული კონკურსის შემდგომი ეტაპი (ზეპირი დავალება/გასაუბრება) გაიმართება **2019 წლის 27 სექტემბერს, 11:00 საათზე.** კონკურსანტი რეგისტრაციის გასავლელად უნდა გამოცხადდეს **10:30 სთ-დან 11:00 სთ-მდე,** შემდეგ მისამართზე: **ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქუჩა N25 (მეორე სართული, ბრიფინგ-რუმი)**.

კონკურსანტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან/და პირადობის მოწმობა ან/და მართვის მოწმობა). პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის გარეშე პირი ზეპირი დავალება/გასაუბრებაზე არ დაიშვება. კონკურსანტი, რომელიც გრაფიკით დადგენილ დროში არ გაივლის რეგისტრაციას, ზეპირი დავალება/გასაუბრებაზე არ დაიშვება. გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად მიზეზისა (საპატიო თუ არასაპატიო) მონაწილე ფასდება 0 ქულით.